

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N02-198 ბრძანებით
შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N1/3 ოქმი

ქ. თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქუჩა №36-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ფასადების
რეაბილიტაციის და კონსტრუქციული გამაგრების პროექტის კონკურსი N 1656)

ქ.თბილისი

01.06.2015

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N02-198 ბრძანებით
შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ ქ. თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქუჩა N36-ში მდებარე
ორსართულიანი შენობის ფასადების რეაბილიტაციის და კონსტრუქციული გამაგრების პროექტის
შესყიდვის კონკურსში (უ/ნ N 1656) კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დაზუსტებისა და
წარმოდგენილი წინადადების განხილვა.

სხდომას ესწრებოდნენ ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ 2015 წლის 25 მაისის N02-198
ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიისა და აპარატის შემდეგი წევრები:

კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული
პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი;**

კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის
ფინანსური მენეჯერი - **გრიგოლ ცერცვაძე;**

კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების
უზრუნველყოფის სამსახურის არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე;**

კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების
უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი- **გიორგი
მადრაძე;**

აპარატის წევრი- ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების
უზრუნველყოფის სამსახურის პროექტების კოორდინირების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი -
ალექსანდრე მადრაძე;

აპარატის წევრი/სხდომის მდივანი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტი -**სალომე
სართანია.**

კომისიამ განიხილა:

1) კომისიის თავმჯდომარემ მოახსენა კომისიას, რომ ანტონ კათალიკოსის ქუჩა N36-ში მდებარე
ორსართულიანი შენობის ფასადების რეაბილიტაციის და კონსტრუქციული გამაგრების პროექტის
შესყიდვის N1656 კონკურსში მონაწილე კონკურსანტმა - შპს „არქიტრავმა“ ა(ა)იპ „თბილისის

Handwritten signatures and initials in blue ink, including names like "S. Amey" and "M. D.".

განვითარების ფონდის“ 2015 წლის 27 მაისის N01-796 წერილის საფუძველზე მოთხოვნილი დაზუსტება არ წარმოადგინა აღნიშნული წერილით განსაზღვრულ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

კომისიამ დაადგინა:

- 1) შპს „არქიტრავის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების საკონკურსო პირობებით დადგენილ კრიტერიუმებთან შეუსაბამობისა და საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილ ვადაში დაზუსტების არწარმოდგენის გამო ქ. თბილისი, ანტონ კათალიკოსის ქუჩა N36-ში მდებარე ორსართულიანი შენობის ფასადების რეაბილიტაციის და კონსტრუქციული გამაგრების პროექტის შესყიდვის კონკურსს (N 1656) მიენიჭოს სტატუსი - „დასრულებულია უარყოფითი შედეგით.“

ხელმოწერები:

კომისიის თავმჯდომარე - მერაბ ფოლადაშვილი



კომისიის წევრი - გრიგოლ ცერცვაძე



კომისიის წევრი - ნინო ნოზაძე



კომისიის წევრი - გიორგი მალრაძე



აპარატის წევრი - სალომე სართანია



აპარატის წევრი/სხდომის მდივანი - ალექსანდრე მალრაძე

